

საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება #
გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების დანართი/შემადგენელი ხელშეკრულება

, საქართველო,

წლის

1. ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

1.1. **ბანკი:**

1.1.1. საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2. იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:	
1.1.3. საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4. ელ-ფოსტა:	
1.1.5. ტელეფონი:	
1.1.6. წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7. წარმომადგენლის თანამდებობა:	

1.2. **კლიენტი:**

1.2.1. სახელი და გვარი/სახელწოდება:	
1.2.2. პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3. საკორესპონდენტო მისამართი:	
1.2.4. ტელეფონი:	
1.2.5. ელ-ფოსტა:	
1.2.6. წარმომადგენელი (ხელმოწერი/თანხმობის განმცხადებელი პირი)	
1.2.7. სახელი, გვარი, პირადი ნომერი:	
1.2.8. წარმომადგენლის თანამდებობა:	

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია (და არა ვალდებული) კლიენტის მოთხოვნისას საკრედიტო ხაზის ფარგლებში გასცეს არაერთჯერადად კრედიტი, ხოლო კლიენტი იღებს ვალდებულებას საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე სრულად დაფაროს ათვისებული კრედიტის თანხა, გადაიხადოს კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება:**

2.2.1	ნომერი:	
2.2.2	თარიღი:	

2.3. **საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობები:**

2.3.1.	საკრედიტო ხაზის თანხა და ვალუტა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა
2.3.2.	საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა:	
2.3.3.	საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადა:	
2.3.4.	საკრედიტო ხაზის ათვისების ვადა:	
2.3.5.	საკრედიტო ხაზის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	[პროცენტი ციფრებით] ([პროცენტი სიტყვიერად])
2.3.6.	საკრედიტო ხაზის თანხის გაცემის წესი:	
2.3.7.	საკრედიტო ხაზის თანხის და საპროცენტო სარგებლის დაფარვის წესი:	
2.3.8.	საკომისიო:	
	• საკრედიტო ხაზის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:	
	• სხვა სახის საკომისიო(ები):	-
2.3.9.	პირგასამტეხლო	

• საკრედიტო ხაზის თანხის გადახდის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო:	-
• საკრედიტო ხაზის თანხის გადახდის ვადაგადაცილების დღიური პირგასამტეხლო:	ვადაგადაცილებული კრედიტის ძირითადი თანხის - 0.27%
• საკრედიტო ხაზის თანხის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	
• სხვა სახის პირგასამტეხლო(ები):	-
2.3.10. ფინანსური ხარჯები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
• ყოველთვიურად გადასახდელი თანხის გრაფიკის მიხედვით (შენატანის) ოდენობა:	
• ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
• სხვა ხარჯები:	
• ხელშეკრულების 2.3.1. ქვე-პუნქტში თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა მითითებული საკრედიტო ხაზის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი თანხა:	
2.3.11. ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმებული სხვა პირობები:	-

3. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

3.1. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკი კანონმდებლობით განსაზღვრული და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - ბიურო) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გამომწვევით/ანაღობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.2. კლიენტს გაცნობიერებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ კლიენტის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

4.1. მხარეთა მიერ წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ხელმოწერით ძალაში შედის ხელშეკრულება, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება; და (გ) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება მხარეთა შორის კრედიტის მოქმედების ფარგლებში.

4.2. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, მასში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას და თუ თავად გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, ტერმინთა განმარტებები, გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობის, მხარეთა პასუხისმგებლობის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა.

4.3. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ხელმოწერით კლიენტი: (ა) ადასტურებს, რომ ის (კლიენტი) სრულად გაცნობილია და ეთანხმება ხელშეკრულების თავსართში, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში მოცემულ ინფორმაციას, (ბ) სურს ხელშეკრულების დადება და (გ) მისთვის მისაღებია კრედიტის თანხა, პროცენტი, მოქმედების ვადა, პირგასამტეხლოს, საკომისიოს მოცულობები და სხვა პირობები.

4.4. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

	ბანკი		კლიენტი
	-----		-----